რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო?

[თემურლენგის დროების]

რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო?
ხომ ჰხედავ დაკოდილია?
მამულისათვის იბრძოდა,
რადგან მამულის შვილია...
რაზე ატყავებ, წყეულო? –
აგერა ვყევარ ძმობალი!..
– დასხლტა ისარი ფრთიანი –
გაგორდა თათრის შობილი
შენ რაღას ერჩი მაგ ჭაღრა,
რაზედ აწვალებ შანთითა...
სჯულს ხომ ვერ შეაცვლეინებ,
თუ გინდ დამდუღრო ნავთითა...
რაზედა სტანჯავ, წყეულო
აგერა ვყევარ ძმობილის.
იჭექა ზეცით დაეცა
თათარი პირდამხობილის.
შენ რაღას ჰკუწავ, თათარო,
ბალღებსა უსუსურებსა?
ნეტა ვიცოდე, მაგათს სისხლს
მაგრე რა მოგაწყურებსა!..
ხელი შეაღე. წყეულო!..
რადა ხარ დაუნდობელი!..
დასხლტა ისარი და წაწყმდა
უსჯულო შეუნდობელი!..
აგრე იბრძოდნენ ქართველნი
მამულისათვის, სჯულისთვის,
ეწამებოდნენ ქრისტესთვის,
თავისუფლების გულისთვის!..

1881 წ.